საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

25 ივნ 2025 წ.

KA000005358845425

№ **25/5002**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ავთანდილ გულიკაშვილს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

(საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე საცხოვრისში განთავსებული პირების ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე)

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ავთანდილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა (შემდგომში „აპარატი“) განახორციელა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, კახეთის გზატკეცილი № 19 მდებარე საცხოვრისის მონიტორინგი. საცხოვრისში განხორციელდა აპარატის რწმუნებულების საველე ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც შემოწმდა სოციალურ საცხოვრისში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისობა სათანადო საცხოვრებლის უფლებრივ სტანდარტებთან.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო თუ რეგიონალურ დონეზე არსებობს არაერთი, საყოველთაოდ აღიარებული ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია უსახლკარობის სერვისების, მათ შორის, სოციალური საცხოვრისის სერვისის, შეფასება.[1] ზემოთ აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე, აპარატმა შეიმუშავა სპეციალური მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც შემოწმდა მუნიციპალიტეტში მდებარე სოციალურ საცხოვრისში არსებული პირობების შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან.

სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებულების მიერ ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია, გამოკვლეული გარემოებები, შესწავლილი საერთაშორისო სტანდარტები და შიდა სამართლებრივი რეგულირება საფუძვლად დაედო აღნიშნულ რეკომენდაციას.

1. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის მომზადების ფარგლებში, საცხოვრებლის საჭიროების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან.[2] მერიიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[3] მუნიციპალიტეტს გააჩნია სოციალური საცხოვრისი. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, დაიგეგმა აღნიშნულ სოციალურ საცხოვრისში ვიზიტი, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 16 ივნისს.

ვიზიტის ფარგლებში, სოციალური საცხოვრისი ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმება სათანადო საცხოვრებლის უფლების არაერთ კომპონენტებთან განხორციელდა, მათ შორის, საცხოვრისის ვარგისიანობა, ფიზიკური უსაფრთხოება, მდგრადობა, დაცულობა, სანიტარია, გარე პერიმეტრის უსაფრთხოება და სხვა.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, კახეთის გზატკეცილ № 19-ზე მდებარე სოციალური საცხოვრისი წარმოადგენს მრავალბინიანი კორპუსის მქონე შენობას, რომელიც წლების განმავლობაში წარმოადგენს საცხოვრებელ სივრცეს საცხოვრებლის საჭიროების მქონე პირებისთვის. მაცხოვრებელთა განმარტებით, საცხოვრისი განკუთვნილია დაახლოებით 60 ოჯახისთვის, თუმცა ამჟამად აქ 40-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს. ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საცხოვრისის ბენეფიციართა სოციალური კატეგორიები მოიცავს სოციალურად დაუცველ პირებს, შშმ პირებს, ხანდაზმულებსა (დაახლოებით 15 პირს) და ბავშვებს (29-მდე ბავშვს). საცხოვრისში ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 10 წელს, თუმცა ზოგიერთი ოჯახი უკვე 25 წელია ამ შენობაში ცხოვრობს.

აღსანიშნავია, რომ შესახლების მომენტში მაცხოვრებლები არ იყვნენ უზრუნველყოფილი პირველადი საჭიროების მქონე ნივთებითა და ავეჯით. ოთახების საცხოვრებლად ადაპტირება სრულად მაცხოვრებლების ძალისხმევის შედეგია. მათვე განახორციელეს სარემონტო სამუშაოები, როგორიცაა ოთახების გადატიხვრა, შიდა კედლების აშენება და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. საყურადღებოა ისიც, რომ სოციალურ საცხოვრისს არ ჰყავს ადმინისტრაცია. ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მერია ბენეფიციარებს ხელშეკრულების საფუძველზე დროებით სარგებლობაში გადასცემს ოთახებს. რეგულარული კომუნიკაცია მუნიციპალიტეტთან, საცხოვრისის ორგანიზებული მენეჯმენტის მექანიზმები ან სერვისების მონიტორინგის/შეფასების სისტემა საცხოვრისში არ არსებობს.

საცხოვრისის შენობა შედგება სადარბაზოებისგან, რომლებშიც ოთახები განლაგებულია კორიდორულად. არსებული ინფორმაციით, ოთახების განაწილება ხდება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. თითოეულ ოჯახს გადაეცემა დაახლოებით 3-4 ოთახი, რომლის დანიშნულებასაც ისინი თავად განსაზღვრავენ. ოთახების ფართობი ძირითადად 12-დან 15 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, საცხოვრებელი შენობის საერთო მდგომარეობა უსაფრთხოების კუთხით არადამაკმაყოფილებელია. შენობას აღენიშნება მრავალი ბზარი, ჩამოშლილი კედლები, წყლის ჩამოსვლის კვალი და ნესტიანობა. შენობის ფასადიდან ცვივა მასალა, რაც საფრთხეს უქმნის იქ მყოფ პირებს. შენობის შიგნით მოაჯირები მორყეულია. შენობის ბოლო სართულზე გამაგრების მიზნით დამონტაჟებულია რკინის კონსტრუქცია, რაც საცხოვრისის მდგრადობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს აჩენს.

ბენეფიციარების ინფორმაციით საცხოვრებლის მდგრადობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ექსპერტიზა არ ჩატარებულა (ისინი არ ფლობენ აღნიშნულზე ინფორმაცის). ასევე, შენობაში არ არის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და ვენტილაცია. სართულების კიბეებზე არ არსებობს დამცავი მოაჯირები და შენობის სადარბაზოში სარდაფისკენ მიმავალ მონაკვეთში არის ჩავარდნილი სივრცე, რაც მასში გადავარდნის საფრთხეს უქმნის მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით ბავშვებს, შშმ პირებსა და ხანდაზმულებს. სართულებს შორის არსებულ პლატფორმაზეც არსებობს გადავარდნის საფრთხე, რადგან შენობის გარე კედელი არის მორღვეული.

ბენეფიციარების ბინებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნესტი, უმეტეს შემთხვევაში, კედლები ვერ უზრუნველყოფს მაცხოვრებლების დაცულობას ქარისა და წვიმისგან და იგი ოთახებში ადვილად აღწევს. სადარბაზოებში არ არის განათება.

სანიტარული პირობების თვალსაზრისით, ხაზგასასმელია, რომ შენობაში კანალიზაციის სისტემა გაუმართავია – სანიაღვრე წყლები გამოდის შენობის მიმდებარედ გარე პერიმეტრზე, რის გამოც, შენობის ირგვლივ გაუსაძლისი სუნია. მიმდებარე ტერიტორია მოუწესრიგებელია: არ იჭრება ბალახი, გროვდება ნაგავი, რის გამოც, მაცხოვრებლების განმარტებით, ხშირად აწყდებიან ქვეწარმავლებსა და მღრღნელებს.

მართალია სველი წერტილები უმეტესად ინდივიდუალურია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, იგი თავად მაცხოვრებლებმა მოაწყვეს. საცხოვრისში დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ზოგიერთ ბენეფიციარს არ აქვს წვდომა საპირფარეშოსა და აბაზანაზე, რის გამოც საცხოვრისის საერთო სანიტარული მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა. ზოგიერთ ოთახში არ არის იატაკი, იატაკზე დაყრილია მხოლოდ ხრეში ან სხვა დროებითი მასალა. კედლები თხელია და არ იცავს მაცხოვრებლებს ხმაურისგან. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი ოთახი ერთდროულად ასრულებს სამზარეულოს, საძინებლისა და საცხოვრებელი სივრცის ფუნქციას. ზოგიერთ შემთხვევაში, ამავე ოთახში მოწყობილია სველი წერტილიც.

რაც შეეხება შენობის გარე პერიმეტრს, მისი საერთო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. წყალსადინარი ღარები მხოლოდ პირველი სართულის დასაწყისამდე აღწევს, რის გამოც კედელი სველდება და იქმნება ნესტი. საცხოვრისის ირგვლივ წვიმის დროს გუბეები დგება, რაც მაცხოვრებლებს გადაადგილებაში სირთულეებს უქმნით. საცხოვრისის მიმდებარედ არის მიტოვებული შენობა, სადაც მაცხოვრებლების ინფორმაციით, ყრია გამოყენებული შპრიცები და არის ანტისანიტარია.

მოპოვებული ინფორმაციითა და ბენეფიციართა განმარტებით, მთავარ გამოწვევას შენობის ფასადის მდგომარეობა, მისი უსაფრთხოება და დაცულობა წარმოადგენს. სერიოზულ პრობლემაა საკანალიზაციო სისტემისა და გარე პერიმეტრის მოუწესრიიგებლობა.

2. სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. ხოლო, მე-4 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და **ღირსეული საცხოვრებლით** უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. ამასთან, საცხოვრებელი საცხოვრებლად ვარგისი უნდა იყოს, ანუ მობინადრეს უნდა ჰქონდეს სათანადო ფართი და დაცული უნდა იყოს სიცივისაგან, ნესტისაგან, სიცხისაგან, წვიმისაგან, ქარისაგან ან ჯანმრთელობისთვის მავნე სხვა საშიშროებებისაგან, სტრუქტურული საშიშროებებისა და ინფექციის გადამტანებისაგან. ასევე დაცული უნდა იყოს მობინადრეთა ფიზიკური უსაფრთხოება.[4]

სათანადო საცხოვრებლის უფლების საერთაშორისო მექანიზმებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლი („უფლება საცხოვრებელ ადგილზე“), რომლის დაცვისა და შესრულების ვალდებულების აღება საქართველოს მხრიდან კრიტიკულად მნიშვნელოვანია. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. რომლის მე-11 მუხლი იცავს ყველა ადამიანის უფლებას სათანადო საცხოვრებელზე. ამასთან ხსენებული „უფლება არ უნდა იქნეს განხილული ვიწრო ან შეზღუდული გაგებით, რაც მას მაგალითად თავშესაფრით უზრუნველყოფასთან გაათანაბრებდა, რაც მხოლოდ ჭერის ქონას ნიშნავს. იგი განხილული უნდა იქნეს როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება“.[5] აღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო საცხოვრებლის უფლება უფრო მეტია ვიდრე ოთხი კედელი და ჭერი, იგი იმ მინიმალური პირობების ერთიანობაა, რომელიც აუცილებელია ადამიანის ღირსების დასაცავად. ამრიგად, ყველა ზემოთჩამოთვლილი საკითხი წარმოადგენს სათანადო საცხოვრებლის უფლების შემადგენელ ნაწილს, რომლებიც მოაზრებული და დაცულია აღნიშნული უფლების ფარგლებში.[6] შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საგარეჯოს საცხოვრისში მცხოვრებ უსახლკარო პირებთან მიმართებაში უხეშადაა დარღვეული სათანადო საცხოვრებლის უფლება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უკვე წლებია მათ ამ პირობებში უწევთ ცხოვრება, აღნიშნული კიდევ უფრო აუტანლად მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები „უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით“. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია. ამდენად, უსახლკაროდ დარჩენილი პირების მიმართ ადმინისტრაციული, ფინანსური, სოციალური და სხვა სახის ღონისძიებების განხორციელება და თავშესაფრის უფლების რეალიზაციის ვალდებულება ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრია.

2.1. საცხოვრისის ფიზიკური უსაფრთხოება

საცხოვრისის უფლების არაერთი ასპექტი მისი მნიშვნელობის გამო მჭიდროდ უკავშირდება ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის სიცოცხლის უფლებას.[7] როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, სიცოცხლის უფლება ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით არის გარანტირებული და წარმოადგენს ევროპის საბჭოს წევრი დემოკრატიული საზოგადოებების უმნიშვნელოვანეს ღირებულებას.[8] ამასთან, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებით, კონვენციის 31-ე მუხლით გათვალისწინებული საცხოვრისის უფლება კრიტიკულად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ღირსების დაცვისთვის.[9]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, კანონით დაარეგულიროს ხალხის უსაფრთხოების დაცვა საზოგადოებრივ ადგილებში და უზრუნველყოს ამ საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანი მოქმედება, აღნიშნული ვრცელდება საცხოვრებელი ტიპის შენობა-ნაგებობებზეც. ერთ-ერთ საქმეში, ავარიული სახლის აივნის ჩამოშლას 13 წლის ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. ვინაიდან, შემთხვევის დროს მუნიციპალიტეტში არავინ იყო პასუხისმგებელი სახლების უსაფრთხოებაზე, სასამართლომ სიცოცხლის უფლების დარღვევა დაადგინა.[10] საფრთხის წინასწარგანუჭვრეტლობასთან დაკავშირებით, ჯევრიოღლუს საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არაგონივრული არ იყო სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრება უბედური შემთხვევისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებას სამშენებლო უბნის ინსპექტირება არ მოუხდენია. მართალია, ევროპული სასამართლო ვერ იმარჩიელებდა იმაზე, სამშენებლო უბნის სათანადო შემოწმების შედეგად უბედური შემთხვევა თავიდან იქნებოდა თუ არა აცილებული, მაგრამ ასეთ ინსპექტირებას შედეგად შეიძლებოდა უსაფრთხოების ზომების მიღება მოჰყოლოდა და სახელმწიფო კონვენციის მე-2 მუხლიდან (სიცოცხლის უფლება) გამომდინარე პასუხისმგებლობისგან გაეთავისუფლებინა.[11]

ამდენად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საცხოვრისი აკმაყოფილებდეს ფიზიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს. დაუშვებელია საცხოვრისში ცხოვრება დაკავშირებული იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების რისკებთან. აუცილებელია საცხოვრისი უპირველესად უსაფრთხოების კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაზიანების რისკები.

2.2. საცხოვრისის ვარგისიანობის სხვა კომპონენტები

საცხოვრებლის ვარგისიანობის კონტექსტში მნიშვნელოვანია მაცხოვრებლების დაცვა სხვა ნებისმიერი საფრთხისგან, რომელიც საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საცხოვრისთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრინციპები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოსაყოფია 1.2 პრინციპი, რომელიც საკანალიზაციო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ეხება. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ექსკრეტის ნარჩენების ჰიგიენური მართვა ამცირებს დაავადებების ფეკალურ-ორალურ გადაცემას და აფერხებს მწერების გამრავლებას. ადამიანის ფეკალია წარმოადგენს წყლის, საკვების და ნიადაგის ბიოლოგიური დაბინძურების მთავარ წყაროს. დაბინძურება შესაძლოა მოხდეს საცხოვრებელ სახლთან ახლოს, როდესაც საპირფარეშოები არასწორადაა განლაგებული ჭებთან მიმართებით ან განთავსებულია წყლის ცუდად გამტარ მიწაში. გადმოღვრილი მასა ქმნის არაჰიგიენურ, ტალახიან გარემოს, რაც ადამიანებს ჯანმრთელობას უშუალოდ აყენებს საფრთხის ქვეშ, ჰელმინთებით, პროტოზოული პარაზიტებითა და სხვა პათოგენური ორგანიზმებით ინფიცირების თვალსაზრისით, აგრეთვე იზრდება ბუზების რაოდენობაც. ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციის შეფასებით, არსებობს არაპირდაპირი ზემოქმედების საფრთხეებიც. მაგალითად, როდესაც გადაუმუშავებელი ექსკრეტი ხვდება წყლის წყაროებში, შემდეგ კი კვებით ჯაჭვში, რაც იწვევს პათოგენური ორგანიზმების გავრცელებას იმ ადამიანებამდე, რომლებიც მოშორებით არიან თავდაპირველი დაბინძურების წყაროსგან.[12]

აღსანიშნავია, რომ გარე პერიმეტრის მოწესრიგება და სუფთა გარემოს არსებობა აგრეთვე, სერიოზულად ამცირებს მღრღნელების, ქვეწარმავლებისა და დაავადებების გადამტანი არსებების საცხოვრისთან ახლოს არსებობასა და მათ გამრავლებას.[13] სათანადო საცხოვრებლის მნიშვნელოვანი კომპონენტია აგრეთვე მაცხოვრებლების არასათანადო სუნისგან დაცვა.[14]

3. დასკვნა

ფაქტობრივი გარემოებების, ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და სათანადო საცხოვრებლის უფლების საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვის შემდეგ, ნათელია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური საცხოვრისის მდგომარეობა მკვეთრად არადამაკმაყოფილებელია, ბენეფიციართა აღნიშნულ საცხოვრისში ამ მდგომარეობაში ყოფნა საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობასა და ზოგიერთ შემთხვევაში, სიცოცხლეს.

სოციალურ საცხოვრისში არსებული პირობები ღირსების შემლახავია და საჭიროებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მხრიდან გადაუდებელ რეაგირებას. ზოგიერთი ბინა ვერ იცავს მაცხოვრებლებს წვიმისა და ქარისგან. ასევე, ყველა მათგანს არ მიუწვდება ხელი სველ წერტილზე. მობინადრეთა უმეტესობის ბინების (ოთახების) მდგომარეობა მკვეთრად არასათანადოა. სადარბაზოები ბნელია, ხოლო, კიბეებთან არსებული სივრცეები ღია და საშიში. საკანალიზაციო სისტემა გაუმართავია, რის გამოც როგორც შენობაში, აგრეთვე, მის გარეთ გაუსაძლისი სუნია. გარე პერიმეტრი არ არის სუფთა და უსაფრთხო.

მუნიციპალიტეტის რესურსები ფინანსური თვალსაზრისით, შეზღუდულია, თუმცა ამგვარი რესურსების სიმცირე არ ცვლის არც სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულების უშუალო ხასიათს და არც მხოლოდ რესურსების შეზღუდულობას შეუძლია გაამართლოს უმოქმედობა. როდესაც არსებული რესურსები აშკარად არასაკმარისია, სახელმწიფოს რჩება ვალდებულება არსებულ ვითარებაში უზრუნველყონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით მაქსიმალური სარგებლობა. კომიტეტმა ერთხელ უკვე ხაზი გაუსვა, რომ რესურსების მკაცრი შეზღუდვის პირობებშიც კი, სახელმწიფოებმა შედარებით დაბალფასიანი მიზნობრივი პროგრამების მიღების გზით, უნდა დაიცვან საზოგადოების ყველაზე უფრო გაჭირვებული და გარიყული წევრები/ჯგუფები.[15]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოგმართავთ რეკომენდაციით, უზრუნველეყოთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები სათანადო საცხოვრებლით.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით თქვენი პოზიციის თაობაზე, გთხოვთ, სახალხო დამცველის აპარატს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

---

[1]მათ შორის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გაეროს კომიტეტის N 4 ზოგადი კომენტარი და მის მიერ გაცემული დასკვნითი რეკომენდაციები; სათანადო საცხოვრებელზე გაეროს სპეციალური მომხსენებლების თემატური ანგარიში; ევროპის სოციალური უფლებების კომიტეტის დიგესტები; FEANTSA-ს კვლევები და რეკომენდაციები; საცხოვრისის სერვისის კონცეპტუალური მოდელი (ე.წ. Donabedian’s Conceptual Model).

[2] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 17 იანვრის № 25/391 წერილი.

[3] საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის 03 თებერვლის 52-5225034127 წერილი.

[4] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, რედ.: ასბორნ ეიდე, კატარინა კრაუზე, ალან როსა, თარგ: ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძე, მე-2 განახლ. გამოც. თბ., 2006, გვ:747.

[5] სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის #4 ზოგადი კომენტარი, 1991 წ. პარაგრაფი 7.

[6] იქვე.

[7] სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის პრაქტიკის დაიჯესტი, 2018, გვ. 229.

[8] Case of Haugen v. Norway, განაცხადი no. 59476/21, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2024 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 132.

[9] სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის პრაქტიკის დაიჯესტი, 2018, გვ. 229.

[10] ბანელი ლიეტუვას წინააღმდეგ (Banel v. Lithuania), განაცხადი 14326/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება.

[11] ჯევრიოუღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cevrioğlu v. Turkey), განაცხადი 69546/12, , ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება. იხ. ვრცლად:< https://shorturl.at/F8tuJ>.

[12] World Health Organization, *Health Principles of Housing* (Geneva: World Health Organization, 1989), 4-5, https://iris.who.int/handle/10665/39847.

[13] იქვე, გვ. 11.

[14] ლოპეს ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain), განაცხადი 16798/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.

[15] Committee’s statement regarding an evaluation of the obligation to take steps to the “maximum of available resources” under an optional protocol to the Covenant (2007).

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი